



## ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №-28

2010 წლის 29 დეკემბერი

ქ. ქობულეთი

### ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დამტკიცებულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულება თანახმად დანართისა.

2. ამ დადგენილების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 15 ივნისის №-59 დადგენილება.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის  
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური (ტექსტში შემდგომ - სამსახური) არის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.
2. სამსახური საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, გამგეობის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
3. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური შექმნილია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის №23 დადგენილების შესაბამისად.
4. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სამტატო განრიგი განისაზღვრება გამგეობის სამტატო ნუსხით.
5. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის იურიდიული მისამართია: ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141.

თავი II. სამსახურის ფუნქციები, ამოცანები, უფლებები და მოვალეობები

მუხლი 2.

სამსახურის ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

- ა) მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მართვა, კოორდინაცია და ზედამხედველობა.
- ბ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაავადებათა პროფილაქტიკის პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრა შესაბამისს სამედიცინო-პროფილაქტიკურ დაწესებულებასთან ერთად.
- გ) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების მომზადება და დამტკიცებულ პროგრამათა განხორციელება.
- დ) მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სახელმწიფო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მუნიციპალური პროგრამების ურთიერთკოორდინაცია.
- ე) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესრულების მიმდინარეობის ხელშეწყობა.
- ვ) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, მათი სისტემატიზაცია, ანალიზი და გავრცელება.
- ზ) მიზნობრივ ჯგუფებში (ინვალიდები, მარტოხელა მოქალაქეები, დევნილები, სტიქიით დაზარალებულები და სხვა) სოციალური დახმარების ხელშეწყობა.
- თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მონაცემების შეგროვება და მუნიციპალური პროგრამების ბენეფიციართა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა.
- ი) მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური რეაბილიტაციისათვის საჭირო მუნიციპალური პროგრამის შედგენა და მისი უზრუნველყოფა.

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებზე - დევნილებზე, ეკომიგრანტებზე საინფორმაციო ბანკის შექმნა, ანალიზი და მის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებათა პაკეტის შემუშავება.

ლ) სტიქიის შედეგად დაზარალებულთა, ეკომიგრანტთა სოციალურ პრობლემათა შესწავლა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

მ) მუნიციპალიტეტში მიგრაციული ნაკადების რეგულირებისა და მიგრაციული პროცესების განსახორციელებელ ღონისძიებათა ხელშეწყობა.

ნ) „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონებით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ ვეტერანთა აღრიცხვა და მათი სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების უზრუნველყოფა თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ო) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამგეობის სხვა სამსახურებთან ერთად სარიტუალო მომსახურება, ხანდაზმულ ომის მონაწილე მარტოხელა ვეტერანთა საპატრონაჟო და მოხუცთა თავშესაფრის ორგანიზება.

პ) საბრძოლო დიდების მემორიალების, ძმათა სასაფლაოების, ომში დაღუპულ მებრძოლთა საფლავების მოვლა-პატრონობა.

ჟ) მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა, ანალიზი და მათზე შესაბამისი რეაგირება.

რ) უზრუნველყოფს გამგებლის, გამგებლის მოადგილეების ცალკეული დავალებების შესრულებას;

ს) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

### მუხლი 3.

თავისი ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით სამსახურს უფლება აქვს:

ა) თავისი კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს საჭირო ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებიდან, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან;

ბ) დაქვემდებარებულ სფეროში გამოვლენილი ან შესაძლო დარღვევების თაობაზე სათანადო წინადადებების და დასკვნების მომზადება და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ინსტანციაში წარდგენა;

გ) თავისი მიზნებიდან გამომდინარე განახორციელოს სხვა ქმედებები, რაც პირდაპირ, ან არაპირდაპირ ემსახურება სამსახურის მიზნებსა და ინტერესებს. მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

### მუხლი 4.

სამსახური ვალდებულია:

ა) პასუხი აგოს მასზე გადაცემული ქონების შენახვასა და დაცვაზე;

ბ) მოცემული დებულებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში შეასრულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგებლის სამართლებრივი აქტები;

გ) მიიღოს მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა განცხადებები და შუამდგომლობები, განიხილოს და პასუხი გასცეს კომპეტენციის ფარგლებში;

დ) დადგენილ ვადებში და მოთხოვნის შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგინოს წინადადებები და პროგრამების პროექტები;

ე) განახორციელოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალურ პროგრამათა შესრულებაზე კონტროლი.

ვ) თავისი ფუნქციების განხორციელებისას შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით, შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები.

### თავი III. სამსახურის ხელმძღვანელობა

#### მუხლი 5.

1. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს ხელმძღვანელობს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი (შემდგომში სამსახურის უფროსი), რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.
2. სამსახურის უფროსი;
  - ა) უზრუნველყოფს სამსახურის საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოში მოქმედი სხვა კანონმდებლობის შესაბამისად და პასუხისმგებელია ამ ერთეულის მიერ დაკისრებული უფლებებისა და მოვალეობების შესრულებაზე;
  - ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სამსახურის თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურეობრივი ზედამხედველობის განხორციელებას;
  - გ) შეიმუშავებს წინადადებებს თანამშრომელთა შორის ფუნქციური განაწილების შესახებ და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს გამგებელს;
  - დ) სამსახურში შემოსულ საკითხებს ანაწილებს განსახილველად სამსახურის თანამშრომელთა შორის.
  - ე) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
  - ვ) წარუდგენს გამგებელს სამსახურის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, პროგრამებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;
  - ზ) ამზადებს სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში გამგებლის სამართლებრივი აქტების პროექტებს;
  - თ) გამგებელს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;
  - ი) წარმოადგენს სამსახურს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულებთან და ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობისას;
  - კ) მონაწილეობს გამგეობის საქმიანობიდან გამომდინარე შექმნილ კომისიებში;
  - ლ) ესწრება გამგებლის თათბირებს;
  - მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს გამგებლის, გამგებლის მოადგილის ცალკეულ დავალებებს;
  - ნ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოვალეობებს;
3. სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია სამსახურის საქმიანობისათვის გამგებლის წინაშე.
4. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე;
5. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების შეწყვეტისა და თანამდებობიდან გადადგომის საფუძველია:
  - ა/ პირადი განცხადება;
  - ბ/ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი;
  - გ/ სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობა; უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;
  - დ/ საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;
  - ე/ გარდაცვალება;
  - ვ/ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
6. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის არყოფნისას, უფროსის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან/და გათავისუფლებისას უფროსის მოვალეობის შესრულება გამგებლის სამართლებრივი აქტის საფუძველზე ეკისრება სამსახურის სპეციალისტს.

#### თავი IV. სამსახურის სტრუქტურა

##### მუხლი 6.

1. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური შედგება:

ა) სამსახურის უფროსი;

ბ) წამყვანი სპეციალისტი.

2. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლება ხორციელდება გამგეობის დებულებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით.

##### თავი V. სხვა დებულებები

##### მუხლი 7.

1. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით.

2. სამსახურის რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია ხორციელდება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით.

## განმარტებითი ბარათი

### „ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტი საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი

დადგენილების მიღების მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის დებულების დამტკიცება საკრებულოს განსაკუთრებული კომპეტენციაა.

ა.ბ) დადგენილების მიზანი

დადგენილების მიღების მიზანს წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობა.

ა.გ) დადგენილების არსი

დადგენილების მიხედვით გათვალისწინებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ახალი დებულების დემტკიცება. დებულების შესაბამისად სამსახურის ძირითადი ფუნქციები და ამოცანები იქნება დადგენილი წესით მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალი ტე ტის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მართვა, კოორდინაცია და ზედამხედველობა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაავადებათა და მისი პროფილაქტიკის პრიორიტე ტუ ლი მიმართულების განსაზღვრა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების მომზადება და დამტკიცებულ პროგრამათა განხორციელება, მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სახელმწიფო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მუნიციპალური პროგრამების ურთიერთკოორდინაცია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესრულების მიმდინარეობის ხელშეწყობ, მიზნობრივ ჯგუფებში (ინვალიდები, მარტოხელა მოქალაქეები, დევნილები, სტიქიით დაზარალებულები და სხვა) სოციალური დახმარების ხელშეწყობა და ა.შ.

ბ) დადგენილების ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების და ფი ნანსების წყარო;

დადგენილების მიღება არ არის დაკავშირებული ქობულეთის მუნი ცი პალი ტე ტის ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფასთან;

ბ.ბ) დადგენილების გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

დადგენილება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) დადგენილების გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.  
დადგენილება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) დადგენილების მიმართება საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობისადმი.  
დადგენილება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

დ) დადგენილების მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

და.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დადგენილების შემუშავებაში;

აღნიშნული დადგენილების მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

და.ბ) დადგენილების ავტორი;

სამსახური

და.გ) დადგენილების ინიციატორი;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.